**ხელშეკრულება N507-01**
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 18 იანვარი 2018 წელი

ერთის მხრივ, შემდგომში **„შემსყიდველი“**, გენერალური დირექტორი ზურაბ წერეთელის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სერვის ექსპრეს +“** (ს/კ 404858542) შემდგომში **„მიმწოდებელი“**, წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, ოთარ მამასახლისის სახით (რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმების სანოტარო აქტი №180075173. 25.01.2018წ.), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვებბის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად მოახდინოს **სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა“ და მისი ფილიალების შენობებში არსებულ კონდენციონერების და გამათბობლების** შეკეთება და ტექნიკური მომსახურება დანართი 1-ის და დანართი 2-ის (პრეისკუანტი) შესაბამისად:

CPV- 50710000 - შენობის ელექტრო- და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

CPV- 50730000 - გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

## 2. ფასი და გადახდის პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **1000 (ათასი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2.2 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება **მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად** 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

2.4 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.6 მომსახურების გაწევის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

## 3. ხარისხი

3.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან/ მომსახურების გაწევისას, თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოასწოროს წუნდებული მომსახურება ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

## 4. მიწოდების წესი

4.1 მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 31 დეკემბის ჩათვლით.**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გასწიოს კეთილსინდისიერად, დათქმულ დროში და ჯეროვნად მისი მასალით სამუშაოს შესრულების დროს, ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნკალო საგანი (ნივთი).

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს ჩაატაროს მომსახურების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სამეურნეო

სამსახურის უფროსი ზურაბ მარგიშვილი, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით გაწეული ან/და უხარისხოდ (წუნდებული) ან/და არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე მომსახურების მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

4.5 მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.6 გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ მარგიშვილი.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების გაწევის ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

5.3 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

5.4 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი სტიქიური უბედურების ან სხვა ფორს-მაჟორულ შემთხვევაში.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

## 7. სხვა უფლებები და ვალდებულებები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან მისი ნაწილი (მომსახურების ნაწილში ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომლებიც გამორიცხავენ მომსახურების გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, იგი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს წერილობით მიმწოდებელს დასაბუთებული უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურება ითვლება მიღებულად და ექვემდებარება ანაზღაურებას.

7.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში:

8.3.1.თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავისი მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხიანი მომსახურების დადგენილ ვადებში გაწევას;

7.4 ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

## 8. სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

8.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართი და ხელმოწერა:

**შემსყიდველი:**

**სსიპ - თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა**
მის: გ.ტოვსტონოგოვის ქ. N 2
ს/კ 202058520
ტელ: 2 96 97 03 / 04
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
კოდი - TRESGE 22
ა/ა GE24NB03301002001165022

გენერალური დირექტორი

ზურაბ წერეთელი

**მიმწოდებელი:**

**შპს „სერვის ექსპრეს +“**
მის. ქ.თბილისი, გ.ტაბიძის 45
ს/კ 404858542
ტ. 577202472
ს.ს. „ვი-თი-ბი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი - UGEBG22
ა/ა GE83VT7000000121243602

შპს „სერვის ექსპრეს +“დირექტორის მინდობილი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

ოთარ მამასახლისი

LEPL TBILISI MAIN LIBRARY
Digitally signed by LEPL TBILISI MAIN LIBRARY
Date: 2019.01.18 15:13:42 +04'00'

*დანართი 1*

პრეისკურანტი

| № | მომსახურება | რაოდენობა (ცალი) | ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | კონდიციონერის დემონტაჟი | 1 | **70** |
| 2 | გარე ბლოკის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | **65** |
| 3 | გარე ბლოკის მონტაჟი | 1 | **45** |
| 4 | გარე ბლოკის დემონტაჟი | 1 | **45** |
| 5 | შიდა ბლოკის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | **60** |
| 6 | შიდა ბლოკის მონტაჟი | 1 | **35** |
| 7 | შიდა ბლოკის დემონტაჟი | 1 | **35** |
| 8 | არასტანდარტული მონტაჟი(9-12-18-24-30 btu) | 1 | **160** |
| 9 | სტანდარტული მონტაჟი(9-12-18-24-30 btu) | 1 | **110** |
| 10 | ფართის დათვალიერება | 1 | **30** |
| 11 | კედლის წინასწარი გახვრეტა მონტაჟის გარეშე | 1 | **40** |
| 12 | ტრანსპორტირება მომხმ-სერვისი-მომხ | 1 | **30** |
| 13 | კონსულტაცია  გამოძახებით | 1 | **30** |
| 14 | დიაგნოსტიკა შეკეთების გარეშე | 1 | **35** |
| 15 | დასკვნა | 1 | **30** |
| 16 | კომპრესორი, სარქველის ერთდროული შეცვლა - ფრეონით დატუმბვა(ფრეონის გარეშე) | 1 | **127** |
| 17 | კომპრესორის შეცვლა-ფრეონით დატუმბვა(ფრეონის გარეშე) | 1 | **115** |
| 18 | სარქველის შეცვლა-ფრეონით დატუმბვა(ფრეონის გარეშე) | 1 | **115** |
| 19 | პლატის შეკეთება კომპონენტურ დონეზე(მოხსნა დაყენებით) | 1 | **105** |
| 20 | ნებისმიერი ელექტრონაწილის შეცვლა | 1 | **50** |
| 21 | გარე ბლოკის გაწმენდა | 1 | **55** |
| 22 | შიდა ან გარე ბლოკის კრილჩატკის შეცვლა | 1 | **50** |
| 23 | შიდა ან გარე ბლოკის ვენტილატორის შეცვლა | 1 | **50** |
| 24 | ქსელის სადენების შეცვლა | 1 | **48** |
| 25 | შიდა ბლოკის გაწმენდა(ფილტრი.რადიატორი. ვენტილატორი) | 1 | **55** |
| 26 | სადრენაჟო სისტემის გაწმენდა | 1 | **35** |
| 27 | ფილტრების შეცვლა | 1 | **35** |
| 28 | ფილტრების გაწმენდა | 1 | **35** |
| 29 | ფრეონი R22 | 100 გრ | **4** |
| 30 | ფრეონი R410 | 100 გრ | **6** |
| 31 | ფრეონის დამატება-დატუმბვა- მხოლოდ მომსახურება | 1 | **67** |

გენერალური დირექტორი

ზურაბ წერეთელი

შპს „სერვის ექსპრეს +“დირექტორის მინდობილი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი   პირი

ოთარ მამასახლისი

დანართი 2

# გაზის გამათბობლების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

| | ნივთი | ბრენდი | მომსახურება | ფასიGEL დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|
| 1 | გაზის გამათბობელი | ყველა | ნებისმიერი შეკეთება გარდა რთული კატეგორიის | 39 |
| 2 | გაზის გამათბობელი | ყველა | თერმოსტატის შეცვლა-რთული | 50 |
| 3 | გაზის გამათბობელი | ყველა | დასკვნა | 20 |
| 4 | გაზის გამათბობელი | ყველა | მონტაჟი(სტანდარტული) | 60 |
| 5 | გაზის გამათბობელი | ყველა | მონტაჟი(არასტანდარტული) | 80 |
| 6 | გაზის გამათბობელი | ყველა | დემონტაჟი მონტაჟი ერთ ადგილზე | 60 |
| 7 | გაზის გამათბობელი | ყველა | არასტანდარტული შეკეთება(შეთანხმებით) | |

გენერალური დირექტორი

ზურაბ წერეთელი

შპს „სერვის ექსპრეს +“დირექტორის მინდობილი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

ოთარ მამასახლისი